ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №1

ქ. მცხეთა 19 თებერვალი 2013 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ აბესაძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე;

შოთა აბაშვილი- მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი.

სოფიო ბოჭორაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის წამყვანი პეციალისტი;

ზურაბ მარსაგიშვილი – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი;

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

სოფიო მამისაშვილი – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის წამყვანი სეციალისტი.

უშანგი ზურაბიშვილი- მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მთ. სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

„ქ. მცხეთაში №1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების II ეტაპის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე“ მომსახურების შესყიდვის და ამავე კონკურსის პირობების განსაზღვრა.

2. კომისიამ დაადგინა:

განმეორებით გამოცხადდეს კონკურსი შემდეგი საკონკურსო პირობებით:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქ. მცხეთაში №1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების II ეტაპის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

5 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების და დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება მთავრდება 2013 წლის 25 თებერვალს.

10. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება და დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2013 წლის 25 თებერვლის 15 საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქუჩა №7.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- ჩვენს მიერ მითითებულია საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე, (შენიშვნა იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით);

- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა.
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.
- რეკვიზიტები.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 2000 (ორი ათას) ლარს არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების **შეფასება** და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით:

- პროექტი,ხარჯთაღრიცხვა -კოეფიციენტი-0.7
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი-0.3

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკრსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

18 . გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან ორ დღეში დასრულებული (საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველის შეხედულებისამებრ კორექტირებული) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

19 გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

20. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7, საკონტაქტო პირი –ზურაბ აბესაძე ტელ: 599 11 49 96; 2-51-27-74:

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მცხეთაში №1 ხაბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების II ეტაპის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საპროექტო სამუშაოების საანგარიშო ფართი- დაახლოებით 1300 კვ.მ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. ვერტიკალური გეგმარება;
3. ტოპოგეგმა;
4. ესკიზი;
5. შენობის ირგვლივ ტერიტორიის კეთილმოწყობა;
6. შესასვლელი ცენტრალური კიბე;
7. შემოღობვა მეტალის ბადით.
8. საყრდენ კედელთან მოაჯირები.
9. ბილიკები;
10. გამწვანება;
11. ხის ფანჩატური;
12. სკამები;
13. ატრაქციონები;
14. ხარჯთაღრიცხვა.
15. გენ-გეგმა M 1:200
16. სამუშაოთა გრაფიკი

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ასევე საავტორო ზედამხედველობა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტების შესაბამისად. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში მითითებული სამშენებლო სამუშაოების საკარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს.

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარე: ზ. აბესაძე

კომისიისწევრები: ს. მამისაშვილი

ს. ბოჭორაძე

ზ. მარსაგიშვილი

შ. აბაშვილი

ი. ოდიშელიძე

უ. ზურაბიშვილი